



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეფისწყარო

მეფისწყარო, მწვერვალი ვანის, ჩოხატაურისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, მესხეთის ქედის უმაღლესი მწვერვალი (2850 მ). მდებარეობს მესხეთის ქედისა და მისი ჩრდ. განშტოების – დიდი ლობოროტის შესაყართან, მდ-ების – სუფსისა და ნაბლარისწყლის (ხანისწყლის მარცხ. შენაკადი) სათავეებთან. მ. პირამიდის ფორმისაა და აგებულია შუაეოცენური ანდეზიტურგანფენებიანი ტუფბრეჭიებითა და ტუფკონგლომერატებით. რელიეფის ჩამოყალიბებაში დიდი ზეგავლენა იქონია ძველმა მყინვარებმა. მყინვარული ფორმები: კარები, მორენები, მცირე ზომის ტროგები გვხვდება მთის მწვერვალზე, რ-ის ჩრდ. ფერდობი სამხრეთთან შედარებით გაცილებით კლდოვანია და ციცაბო. მ-ს ძირი და ქვედა კალთები შემოსილია სუბალპ. ლიხით, შუა და ზემო კალთები – ალპ. მდელოებით (დეკიანები). მთის ჩრდ.-აღმ-ით მდებარეობს კურ. საირმე, სამხრ-ით – დიდი და პატარა ჯაჯის ტბები.
